ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები - ავტოტექმომსახურება

ძირითადი რეკომენდაციები:

შესაძლებელია მხოლოდ იმ ავტოტექმომსახურების ობიექტების გახსნა, რომელთაც აქვთ დახურული სივრცე ავტომობილის შესაკეთებლად, იმგვარად, რომ არ მოხვდეს მომხმარებელი სამუშაო სივრცეში.

ახალი კორონავირუსის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები:

1. მომსახურების საჭიროების თაობაზე მომხმარებელი მიმართავს ავტოტექნიკური სერვისის მიმწოდებელ კომპანიას და შეათანხმებს მომსახურების დროს, რიგების თავიდან აცილებისა და მომსახურების დროულად და ეფექტურად მიწოდების მიზნით. მომსახურების მიღება ხორციელდება შემდეგნაირად:
   - დათქმულ დროს და ადგილას, მომხმარებელი გადააბარებს თავის ავტომანქანას მომსახურე პერსონალს;
   - თავდაპირველად ავტომანქანიდან გადმოდის ავტომობილის მფლობელი და ტოვებს გასაღებს ავტომანქანაში;
   - ავტომანქანას უახლოვდება სათანადო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვილი მომსახურე პირი, რომელიც ავტომობილის სავარძელზე (მძღოლის მხარეს) დააფენს დამცავ საფარს (შესაძლებელია პოლიეთილენის პარკი, რულონური ქაღალდი);
   - ავტომობილის შეკეთების შემდეგ, მომსახურე პერსონალი უკავშირდება ავტომანქანის მფლობელს და განუსაზღვრავს დროს ავტომანქანის გადასაცემად;
   - ავტომანქანის გადაცემა ხდება იგივე წესით, რაც განსაზღვრულია ავტომანქანის ჩაბარებისთვის.

2. პერსონალის დაცვის საშუალებები სამუშაო სივრცეში უნდა განხორციელდეს შემდეგი წესით:
   - დამსაქმებელმა უნდა შეიმუშაოს უსაფრთხოების გეგმა, როგორც ვირუსის აღმოჩენამდე განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე, ასევე ვურუსის აღმოჩენის შემთხვევაში სამოქმედო გეგმა;
   - დასაქმებულს უნდა ჰქონდეს სრულყოფილი ინფორმაცია ვირუსთან დაკავშირებული ყველა საკითხისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ:
     - განთავსდეს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას ორგანიზაციის მიერ გასატარებელი პრევენციული ღონისძიებების გეგმა;
     - განთავსდეს ჰიგიენური საშუალებებით დაცვის ღონისძიებების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია სათანადო ადგილას, მათ შორის ხელის დაბანის, ნიღბის, ხელთათმანის მორგების, ტარების და მოცილების წესები;
     - სპეც. ტანსაცმელის (საჭიროების შემთხვევაში) ჩაცმის, ტარების და გახდის წესები.
   - დამსაქმებელმა უნდა შეამციროს თანამშრომელთა სამუშაო საათები (მაქს. 6 სამუშაო საათი);
   - დამსაქმებელმა სამუშაო სივრცეში უნდა აკონტროლოს დასაქმებულთა რაოდენობა - ერთობლივად არაუმეტეს 5 ადამიანისა ერთ სივრცეში შესაძმელებლია კვადრატულობის განხილვაც˜
     ;
   - იქ, სადაც დასაქმებულებს მომხმარებლებთან უწევს ურთიერთობა (მომსახურებისთვის თანხის გადახდა) დამონტაჟდეს კოლექტიური დაცვის საშუალებები:
     - დეზობარიერი - შესასვლელში, მოსასვენებელი/სასადილო ფართის წინ;
     - დამცავი გამჭვირვალე ბარიერები - თანამშრომლების მესამე პირებთან ურთიერთობის შემთხვევაში.
   - დაიცავით თანამშრომლები ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით და არ დაუშვათ სამუშაო სივრცეში პირი, რომელიც არ არის აღჭურვილი სათანადო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით:
     - პირბადე;
     - ხელთათმანი;
     - საჭიროების შემთხვევაში - სახის დამცავი ფარი;
     - სპეც. ტანსაცმელი.
   - აწარმოეთ დასაქმებულების ყოველდღიური თერმოსკრინინგი (ობიექტზე შესვლის წინ);
   - დაიცავით დისტანცია (მინ. 2 მეტრი) დასაქმებულებს შორის.

StopCoV.ge 1505 116 001